ხელშეკრულება№ 55

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი

ქ.გორი

25 ივლისი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ მეტრეველის** სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 417876640) და მეორეს მხრივ, **ი.მ მალხაზი უმეკაშვილი** (საიდენტიფიკაციო კოდი 43001000395 (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" ავტომანქანის ნაწილების შესყიდვა და სარემონტო სამუშაოების გაწევა.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება CPV 50116000 ; CPV 34300000

| № | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | ზომის ერთეული | რაოდ. | ერთ. ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა\მ AA 121KK ხელობა | CPV 50110000 | ცალი | 1 | 5.0000 | 5.0000 |
| 2 | სალიარკის ფილტრი | CPV 34300000 | ცალი | 1 | 15.0000 | 15.0000 |

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის

დღიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. გორი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდარული დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღეში.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების

შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03 პროცენტის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 1- ოქომბრამდე.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის

მერიის სპორტული ცენტრი

ს/კ 417876640

სახელმწიფო ხაზინა- TRESGE22

გორი, სტალინის ქ. №11

**მიმწოდებელი:**

ი.მ მალხაზი უმეკაშვილი

ს/კ 43001000395

ს.ს „პროკრედიტ ბანკი" MIBGE 22

ანგ : №GE34PC0143600100034813

გორი. გორი ბაქოს ქ. № 14/13

შემსყიდველი :

/ ნ.მეტრეველი /

მიმწოდებელი :

/მ. უმეკაშვილი/

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის

მერიის სპორტული ცენტრი

ს/კ 417876640

სახელმწიფო ხაზინა- TRESGE22

გორი, სტალინის ქ. №11

მიმწოდებელი:

ი.მ მალხაზი უმეკაშვილი

ს/კ 43001000395

ს.ს „პროკრედიტ ბანკი" MIBGE 22

ანგ : №GE34PC0143600100034813

გორი. გორი ზაქის ქ. № 14/13

შემსყიდველი :

/ ნ.მე[illegible]ული /

მიმწოდებელი :

/მ. უმეკაშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

25 ივლისი 2015 წელი

გორი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ მეტრეველის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417876640) და მეორეს მხრივ **ი.მ მალხაზი უმეკაშვილი** (ს/კ: 43001000395) (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი), ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 25 ივლისის ხელშეკრულების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „მიწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა ავტომანქანის ნაწილები და გასწია ავტომანქანის სარემონტო სამუშაოები. რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 20 (ოცი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი

შემსყიდველი

მ.უმეკაშვილი

ნ.მეტრეველი